შპს „ტრიადა-ს“

თბილისი. ჭიზიყის ქ.№17. რეკონსტრუქციის პროექტი - შპს „კნაუფბიპსთბილისი“-ს წარმოების პროცესში წარმოქმნილი ხმაურის და მტვრისაგან დაცვის პროექტი

მშენებლობის ორგანიზაცია

თბილისი 2022 წ.

შპს „ტრიადა-ს“

თბილისი. ჟიზიყის ქ.№17. რეკონსტრუქციის პროექტი - შპს „კნაუფგიპსთბილისი“-ს წარმოების პროცესში წარმოქმნილი ხმაურის და მტვრისაგან დაცვის პროექტი

მშენებლობის ორგანიზაცია

დირექტორი თ. სხილაძე

მთ.სპეციალისტი თ. ზანდარაშვილი

თბილისი 2022 წ.

შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი.

II. მშენებლობის დახასიათება.

III. მშენებლობის ხანგრძლივობა.

IV. მშენებლობის რიგობრიობა და ეტაპები.

V. ძირითადი სამშენებლო სამუშაოების წარმოების მეთოდები.

VI. მანქანა-მექანიზმების და ტრანსპორტის ჩამონათვალი.

VII. უსაფრთხოების ტექნიკა.

VIII. სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა.

ბ) გრაფიკული ნაწილი

„სამშენებლო გენგეგმა“ - ნახ. „მო-1“.

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

თბილისში, ქიზიყის ქ.№17-ში, რეკონსტრუქციის პროექტი - შპს „კნაუფგიპს-თბილისი“ - წარმოების პროცესში წარმოქმნილი ხმაურის და მტვრისაგან დაცვის პროექტი დამუშავებულია შპს „პროექტსერვისი“-ის მიერ, დამკვეთისაგან მიღებული საპროექტო დავალების საფუძველზე.
წინამდებარე მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია პროექტის მასალებისა და შემდეგი ნორმატიული დაკუმენტების საფუძველზე:

1 სნდაწ 3.01.01-85* – „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“.
2 სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნომრები“.
3 სნდაწ - III-4-80* – „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“.
4 სნდაწ 3.02.01-87 – „მიწის ნაგებობები. ფუძეები და საძირკვლები.

მშენებლობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი, თანახმად სნდწ. 03.01.01-85*-ის მოთხოვნებისა.

II. მშენებლობის დახასიათება.

მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს თბილისში, „კნაუფგიპსთბილისი“-ს ტერიტორიაზე, ს/კ 01.19.22.003.042.
ტერიტორიის რელიეფი არის სწორი. უბანი ხასიათდება შემდეგი გეოლოგიური აგებულებით:

ფენა 1 - ტექტოგენური, წარმოდგენილია თიხნარის, ღორღისა და ხვინჭის ნარევით. გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე მიწის ზედაპირიდან 0.5 მ ფარგლებში, ზემოდან 0.5 მ ფარგლებში ფხვიერი აღნაგობის.

ფენა 2 - თიხაქვიშა - მოყვითალო-ყავისფერი თიხნარები, მტვროვანი, სუსტად მაკროფოროვანი, მყარი კონსისტენციის, ღორღის 10%-მდე ჩანართებით.

ფენა 3 - ძირითადი ქანები - არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული.

ნაკვეთის სეისმურობა 8 ბალი.
გრუნტის წყლები დაფიქსირებული არ არის.
საძირკვლების ფუძედ მიღებულია III ფენა - არგილიტები და ქვიშაქვები.
პროექტით გათვალისწინებულია ერთსართულიანი II კლასის შენობა თაბაშირის ნარჩენების დიდი კონტეინერებისთვის.

III. მშენებლობის ხანგრძლივობა.

ქიზიყის ქ. №17-ში შპს „კნაუფგიპსთბილისი“-წარმოების პროცესში წარმოქმნილი ხმაურის და მტვრისაგან დაცვის პროექტი მშენებლობის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85-ის „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს საფუძველზე და შეადგენს 10 თვეს, აქედან მოსამზადებელი პერიოდი - ორი თვე.

მშენებლობის ცალკეული ტექნოლოგიური ციკლების ხანგრძლივობა მოცემუ-ლია სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმაში.

1V. მშენებლობის რიგობრიობა და ეტაპები.

დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობა ხორციელდება ორ რიგად:

I რიგი - მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები.
II რიგი -— ძირითადი პერიოდის სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდ'ში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

1) ტერიტორიის შემოღობვა;
2) ტერიტორიის გასუფთავება;
3) შენობების დაკვლევა;
4) დროებითი გზის და სამშენებლო მოედნის მოწყობა;
5) დროებითი შენობების მოწყობა;
6) დროებითი წყალ და ელექტრომომარაგების გადაწყვეტა.
7) სასაწყობო მეურნეობის მოწყობა

მშენებლობის ძირითად პერიოდ'ში სრულდება კოტეჯებისა და დამხმარე ნაგებობების მშენებლობა პარალელირ რეჟიმში, ცალკეულ ეტაპებად:

I ეტაპი – მიწის სამუშაოები;
II ეტაპი – საძირკვლების მოწყობა;
III ეტაპი – „ნულოვანი ციკლის“ სამუშოებ(კარკასი);
IV ეტაპი – „ნულისზედა ციკლის“ სამუშაოები(კარკასი);
V ეტაპი – სახურავის მოწყობა;
VI ეტაპი – კედლებისა და ტიხრების მოწყობა;
VII ეტაპი – კარ-ფანჯრების მოწყობა;
VIII ეტაპი – შიგა და გარე მოპირკეთება;
IX ეტაპი – იატაკის მოწყობა;
X ეტაპი – კეთილმოწყობის სამუშაოები.

V. ძირითადი სამშენებლო სამუშაოების წარმოების მეთოდები

ბ) მიწის სამუშაოები

ქვაბულის მოწყობის სამუშაოების დროს II-კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხორციელდება ექსკავატორით „უკუჩამჩა“, ტევადობით 0,5-1.0 მ³.II კატეგორიის გრუნტის დამუშავება გაფხვიერება ხორციელდება ხელით, პნევმატური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით. გაფხვიერებული გრუნტის დამუშავება ხორციელდება ექსკავატორით..ქვაბულის ძირის მოსწორება ხელით.ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება - ბულდოზერით.ქვაბულის და თხრილების დამუშავება ხორციელდება ფერდობით, რომელთა დახრა უნდა შეესაბამებოდეს რომელთა დახრა უნდა შეესაბამებოდეს სნდაწ-III-4-80*-ისა და სნდაწ -III-80* მოთხოვნებს.

ქვაბულში ეწყობა ჩასასვლელი სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისათვის.

გრუნტის უკუჩაყრა სწარმოებს ბულდოზერით და ხელით. უკუჩაყრილი გრუნტის დატკეპვნა - ხელით, პნევმატური მტკეპნავების გამოყენებით.

ზედმეტი გრუნტის გატანა სწარმოებს ავტოთვითმცლელებით.

მიწის სამუშაოები შესრულდეს სნდაწ 3.02.01-87-ის “მიწის ნაგებობები, ფუძეები და საძირკვლები” მოთხოვნების თანახმად.

ქ) სამშენებლო სამუშოები

შენობის მშენებლობა ხორციელდება მოძრავი საავტომობილო ამწის სმკ-10-ის საშუალებით, ტვირთამწეობით 10 ტ.

საავტომობილო ამწის სახლამდე მისასვლელად ეწყობა დროებითი გზა, ხოლო სახლთან ეწყობა დროებითი სამშენებლო მოედანი, რომელზეც დგას სამუშაოთა წარმოებისას როგორც საავტომობილო ამწე, ასევე სხვა მექანიზმებიც.

საავტომობილო ამწეთი ხორციელდება სამუშაო ადგილამდე სამშენებლო მასალების, ნაკეთობების, დეტალების და ნახევარფაბრიკატების მიწოდება.

ბეტონის მიწოდება ჩალაგების ადგილამდე ხორციელდება როგორც საავტომობილო ამწით ბადიებისა და ბუნკერების გამოყენებით, ასევე მოძრავი ავტობეტონტუმბოს საშუალებით. ბეტონის ნარევის ვიბრაცია ხობციელდება ხელის ვიბრატობებით.

ბეტონის ტრანსპორტირება ხორციელდება მიქსერებით.

მოპირკეთების და კეთილმოწყობის სამუშაოები სწარმოებს მცირე მექანიზმების საშუალებების გამოყენებით.

მშენებლიბის უზრუნველყოფა ელექტროენერგიით საპროექტო ხაზის მოწყობამდე ხორციელდება მოძრავი ელ. სადენებით, შემდეგ კი საპროექტო ქსელიდან.

მშენებლობის უზრუნველყოფა წყლით საპროექტო ქსელის მოწყობამდე ხორციელდება ავტოცისტერნებით წყლის შემოზიდვით, შემდეგ კი საპროექტო წყალმომარაგების ქსელიდან.

სამუშაოთა წარმოების პროექტში დეტალურად დამუშავდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები.

ყველა სამუშაო შესრულდეს სნდაწ III-4-80*-ის “უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

VI. მანქანა-მექანიზმების და ტრანსპორტის ჩამონათვალი

დასავენებელი კომპლექტის მშენებლობის განსახორციელებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. ექსკავატორი „უკუჩამჩა“- ტევადობით 0,5-1.0მ^3 - 1 ც
2. ბულდოზერები - 1 ც
3. მოძრავი კომპრესორი - 1 ც
4. მოძრავი ელექტრო სადგური - 1 ც
5. საავტომობილო ამწე -სმკ-10 ტვირთამწეობით -10ტ - 1 ც
6. ავტობეტონტუმბო - 1 ც
7. ბეტონმიქსერი - 4 ც
8. ავტოთვითმცლელი - 1 ც
9. ბორტული მანქანები - 1 ც
10. ხელის სანგრევი ჩაქუჩები - 1 ც
11. მცირე მექანიზაციის საშუალებები - 2 კომ.
12. ავტოცისტერნა - 1 ც

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სამშენებლო-სარემონტო სამუშაო შესრულდეს სნდაწ-III-4-80*-ის „უსაფ-რთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით. კაცრად უნდა იქნას დაცული ასევე ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები.

სამუშაოთა წარმოების პროექტში დეტალურად დამუშავდეს უსაფრთ-ხოების ტექნიკისა და სახანძრო უსაფრთხოების საკითხები.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ „დამშვები-განწესი“-ს საფუძველზე, რომელიც შეთანხმებულია მოქმედი ელ.გადამცემი ხაზის მფლობელთან.

სამშენებლო ტვირთერბის აღება უნდა მოხდეს მინიმალურ სიმაღლეზე და მიეწოდოს სამუშაო ადგილებზე აწევის სიმაღლის თანდათანობითი გაზრდით.

საავტომობილო ამწის მუშაობისა და შენობის კონტურების გარშემო წარმოშობილი სახიფათო ზონების რადიუსები განისაზღვროს უშუალოდ სამუშაოთა წარმოების პროექტში.

სახიფათო ზონები აღინიშნოს დღისით და ღამით კარგად დასანახი სიგნალიზაციით და ნიშნებით და მოექცეს დროებითი ღამის კონტურში.

აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სახიფათო ზონების ფარგლებში.

VIII. მოპ-ის შედგენისთვის გამოყენებული ნორმატიული ბაზა

1. კრებული - სამახსოვრო ქართულ ენაზე - მოქმედი სამშენებლო წარმოების ნორმებისა და წესების ამონაკრები, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა. თბილისი, 1987 წელი.

2. სნ და წ 3. 0.1 0.1-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“.

3. სნ და წ 1. 0.4 0.3-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები მშენებლობაზე“.

4. შ. ბაქანიძე, მ. ლორთქიფანიძე, რ. მახვილაძე - ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე. თბილისი, 2006 წელი.

5. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილება №255, მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესებისა და პირობების შესახებ.



პირობითი აღნიშვნები:

- საპროექტო შენობა
- დროებითი ღობე
- დროებითი შენობა ნაგებობები
- დროებითი ღია სასაწყობო მოედანი
- საავტომობილო ამწე
- ამწის სვლის ღერძი
- ამწის კიდურა დგომი

შენიშვნები:

1. წინამდებარე ნახაზი "მო-I" იხილეთ განმარტებით ბარათთან ერთად.
2. წინამდებარე სამშენებლო გენგეგმა დამუშავებულია შენობის მიწისზედა ნაწილის მშენებლობის პერიოდისათვის.
3. საპროექტო შენობის მშენებლობა ხორციელდება ერთდროულად, პარალელურ რეჟიმში, ცალკეულ სამშენებლო-სამონტაჟო ტეპებად.
4. საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ხორციელდება საავტომობილო ამწის მეშვეობით, ტვირთამწეობით 16 ტნ. სამუშაოთა წარმოებისას ამწე მოძრაობს შენობის გარეთა გრძივი კონტურების გასწვრივ.
5. ყველა სამშენებლო სამუშაო ჩატარდეს სნდაწ-III-4-80*-ის „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

მშენებლობის ორგანიზაცია გენგეგმა

შპს „ტრიადა - ს"

თბილისი. ძიზიყის ქ.№17. რეკონსტრუქციის პროექტი - შპს „კნაუფბაუსთბილისი"-ს წარმოების პროცესში წარმოქმნილი ხმაურის და მტვრისაგან დაცვის პროექტი

შენობა №5 - ნაგვის ბუნკერი

მშენებლობის ორგანიზაცია

გენგეგმა

დაკვეთა		
დირექტორი		
პრ.მთ.არქიტექტ.		თ.ზანდარაშვილი
დაამუშავა		თ.სხილაძემ
შეამოწმა		თ.ზანდარაშვილმა
სტადია		მ.პ.
ფურცელი		მო-1
ფურც. რაოდ.		
მასშტაბი		1:1000
თარიღი		



ბავშვებისთვის ბავშვთა ფსიქოლოგიური კაბინეტი - 300 ფუნ



ბავშვებისთვის ფსიქოლოგიური კაბინეტის ბინის გეგმა
